

დამტკიცებულია

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ

ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 მაისამდე

განაკვეთები (ტარიფები)

აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისათვის

სარგებლობის სახე	განაკვეთი		
საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების საჯარო შესრულება	აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამდგმელი რეჟისორი	აუდიოვიზუალური ნაწარმოების სცენარის ავტორი	აუდიოვიზუალური ნაწარმოების მუსიკის ავტორი
თითოეული აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ფასიანი შესვლისას	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 0.64%, მაგრამ არანაკლებ 120 ლარი თითოეული ეკრანისთვის	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 0.56%, მაგრამ არანაკლებ 105 ლარი თითოეული ეკრანისთვის	ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 0.4%, მაგრამ არანაკლებ 75 ლარი თითოეული ეკრანისთვის
თითოეული აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულება უფასო შესვლისას	პროექტის ბიუჯეტის 0.32%, მაგრამ არანაკლებ 40 ლარი თითოეული ეკრანისთვის	პროექტის ბიუჯეტის 0.28%, მაგრამ არანაკლებ 35 ლარი თითოეული ეკრანისთვის	პროექტის ბიუჯეტის 0.2%, მაგრამ არანაკლებ 25 ლარი თითოეული ეკრანისთვის

- * აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისათვის ფასიანი შესვლისას დადგენილი მინიმალური განაკვეთები თბილისის ფარგლებს გარეთ მოქმედი მოსარგებლეებისათვის შეადგენს დადგენილი ოდენობის 2/3-ს თითოეული ეკრანისათვის.
- * მთლიანი შემოსავალი ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ მიიღო ბილეთების რეალიზაციის შედეგად.
- * პროექტის ბიუჯეტი ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ გახარჯა პროექტის განსახორციელებლად
- * განაკვეთები შეიცავს დღგ-ს

გიგა კობალაძე
გამგეობის თავმჯდომარე